

საპრივატიზაციო ობიექტის გაყიდვის პირობები

(ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N116-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3544.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 1241.00 შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N33.09.33.289, ყოფილი რიტუალების სახლი მიწის ნაკვეთით))

ა) მყიდველი ვალდებულია უძრავი ქონების შესყიდვიდან არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში მიმართოს განცხადებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ან/და არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემის თაობაზე და აღნიშნულ განცხადებას თან დაურთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

ბ) მყიდველი ვალდებულია ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ან/და არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ მასში განათავსოს; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან/და სასტუმრო ან/და კვების ობიექტი ან/და სპორტული კომპლექსი ან/და საგამოფენო სივრცე ან/და საკონფერენციო დარბაზი ან/და ლიტერატურული კაფე ან/და საოფისე ან/და კომერციული ფართები. მყიდველი ვალდებულია აღნიშნული განახორციელოს უძრავი ქონების შესყიდვიდან 36 თვის ვადაში.

გ) მყიდველი ვალდებულია უძრავი ქონების შესყიდვიდან არაუმეტეს 36 თვის ვადაში ობიექტის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის განახორციელოს არანაკლებ 2 000 000.00 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიცია.

დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების შემთხვევაში ორი ოროთახიანი ბინა (სტანდარტული საცხოვრებელი ფართი) გადაეცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში შემდგომში სოციალური მიმართულებით გამოყენებისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე